მთავარი მატჩი წინაა

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 6 ივლისი.

“დინამო” (თბილისი) – “ტორპედო” (მოსკოვი) 1:1 (0:0).

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხიზანიშვილი, მუჯირი (ებრალიძე), ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ჩელებაძე (კოპალეიშვილი), დარასელია.

“ტორპედო”: ელიზაროვი (ზარაპინი), კრუგლოვი, პრიგოდა, ბუტურლაკინი, ხუდიევი, პეტრენკო, სუჩილინი, მირონოვი, იურინი, სახაროვი (რიშინი), დეგტიარიოვი.

მსაჯი: ვ. ფარდმანი (ეისკი).

დუბლიორები – 1:0.

38–ე ჩემპიონატის დამთავრებამდე სათამაშო დარჩა თითო–ოროლა მატჩი, მდგომარეობა ცხრილის სათავეში კი გაურკვეველია ისევე, როგორც, ვთქვათ, ამ ერთი თვის წინ. სიმჭიდროვე ლიდერთა შორის ისეთია, რომ, სულ ცოტა, 5–6 გუნდს აქვს შესაძლებლობა იბრძოლოს არა მარტო საპრიზო ადგილებზე გასასვლელად, არამედ უშუალოდ ოქროს მედლებისთვისაც.

საინტერესო სიტუაციაა. მით უფრო, რომ ჩემპიონობის უეჭველ პრეტენდენტთა შორისაა ჩვენი გუნდიც – თბილისის “დინამო”, რომელსაც შეუძლია მიაღწიოს იმას, რისთვისაც დიდი ხანია არ მიუღწევია. ამიტომ მან ხელიდან არ უნდა გაუშვას წარმატების მოპოვების არც ერთი შანსი, არ დაკარგოს არც ერთი ქულა.

და აი, ასეთ უკიდურესად დაძაბულ ვითარებაში ქულა მაინც დაიკარგა, თანაც შინ, საკუთარ მინდორზე, მოსკოვის “ტორპედოსთან”, როცა, ყველა ვარაუდით, გუნდს 2 ქულა უნდა აეღო.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ მატჩი ტორპედოელებთან იოლი მოსაგები იქნებოდა და ორი ქულა 13 ივლისის უძნელესი, გადამწყვეტი თამაშის წინ მოსკოვის “დინამოსთან” გარანტირებული გვქონდა. “ტორპედო” “ტორპედოა” და მისი ახლანდელი ერთობ არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობა სულაც არ ნიშნავს ამ გუნდის სისუსტეს. პირიქით, საჭირო იყო ძალების მაქსიმალური მობილიზება, მთელი მონდომებით ბრძოლა გამარჯვების მოსაპოვებლად, ეს მობილიზება და მონდომება კი, პირდაპირ უნდა ითქვას, ვერ ვნახეთ.

თბილისელებს ამ მატჩში აკლდათ ორი საუკეთესო მოთამაშე – ყიფიანი და ხინჩაგაშვილი. ეს დიდი ძალაა. ამას გარდა, 22 ივნისის შემდეგ მათ კალენდარული შეხვედრა აღარ ჰქონიათ და 10–დღიანი იძულებითი შესვენება უარყოფითად დაეტყო გუნდს.

ეს ობიექტური მიზეზებია, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ მინდორზე მყოფნი არ იყვნენ შეკრული ერთ, შეთანხმებულ კოლექტივად და, საერთოდ, წლეულს თბილისის “დინამოს” თავის მინდორზე არ უთამაშია ასე სუსტად, ქაოსურად. თავი იჩინა ზოგიერთმა ძველმა რეციდივმა, ზედმეტმა ინდივიდუალიზმმა, მოკლე და უსარგებლო გადაცემებმა, დაბალმა ტემპმა, ტაქტიკურმა შეცდომებმა. მიმდინარე სეზონში მაყურებელმა პირველად დატოვა უკმაყოფილომ სტადიონი, რისი საფუძველიც მას, უდავოდ, ჰქონდა.

მატჩის დასაწყისი, პირველი 15 წუთი, დინამოელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა, “ტორპედოს” კარი ძლიერი შტურმის ობიექტად იქცა, მაგრამ საკმარისი იყო მოიერიშე მხარეს მოეკლო ტემპისთვის, დაეხია მინდვრის შუაგულში, რომ

მოსკოველებმა მაშინვე შექმნეს კონტრთამაში და ბოლომდე აღარ დაუთმიათ უპირატესობა მეტოქისთვის.

დინამოელთათვის დიდი სტიმულად უნდა ქცეულიყო გოლი, რომელიც გუცაევმა გაიტანა 49–ე წუთზე, მაგრამ ასე არ მოხდა. მეტიც: 75–ე წუთზე დეგტიარიოვმა ახლო მანძილიდან კარგად გამოიყენა კრუგლოვის გადაცემა და გაქვითა გოლი – 1:1.

დაიკარგა უძვირფასესი ქულა, თუმცა ჩემპიონატის წარმატებით დამთავრების შესაძლებლობა თბილისელებს კვლავინდებურად აქვთ. საამისოდ გუნდის წინაშე დგას გადაუდებელი საპასუხისმგებლო ამოცანა – მან სერიოზული ანალიზი უნდა გაუკეთოს განვლილი მატჩის შეცდომებს და სრულ მზადყოფნაში შეხვდეს ბოლო მატჩს მოსკოვის "დინამოსთან".

ბ. ქორქია.
"ლელო", 8 ივლისი, 1976 წ.